

**ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და
ქვეპროგრამების შესახებ**

სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (390402)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები (390402)

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
390402-01	პროგრამა: აპარატის ხარჯი	520.0	466.3	463.4	99.4%
390402-02	პროგრამა: ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები	780.0	749.8	747.2	99.6%

2015 წლის II კვარტალში ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩატარებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ წარმოდგენილი, პრიორიტეტების შესაბამისი შემდეგი 43 (ორმოცდასამი) პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი“, პროექტი - „SHOWDOWN-ი მაგიდის ტენისი უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის“, თანხა - 23277 ლარი და 50 თეთრი;
2. ა.(ა).ი.პ. - „პროგრესული საქართველო“, პროექტი - „ანტინარკოტიკული კამპანია“, თანხა - 21443-00 ლარი;
3. ა.(ა).ი.პ. - „ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „მთამსვლელობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“ თანხა - 9025-00 ლარი;
4. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“, პროექტი - „საერთაშორისო კონკურსი „ალიანტე 2015“, თანხა - 22250-00 ლარი;

5. ა.(ა).ი.პ. - „გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი“, პროექტი - „ახალგაზრდული ბანაკი „ფშავი“, თანხა - 16721 ლარი და 50 თეთრი);
6. ა.(ა).ი.პ. - „ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა“, პროექტი - „საფეხბურთო ფესტივალი-გურია 2015“ თანხა - 18895-00 ლარი;
7. ა.(ა).ი.პ. - „პირველი ევროპელი“, პროექტი - „ტრადიცია _ ეროვნული საგანძური სვანური ტრადიციული ჭიდაობა „ლიბრგელის“ აღდგენა-განვითარება“ თანხა - 14450-00 ლარი;
8. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს მენეჯერთა ასოციაცია“, პროექტი - „ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნება, განათლება და ევროინტეგრაცია“, თანხა - 16122 ლარი და 50 თეთრი;
9. ა.(ა).ი.პ. - „NOOSFERA FOUNDATION“, პროექტი - „CineDoc-Tbilisi-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის სექცია CineDoc-Young“ თანხა - 22427-00 ლარი;
10. ა.(ა).ი.პ. - „არასამეწამეო იურიდიული პირი კავკასიონი“, პროექტი - „წიგნის ხე“, თანხა - 14550-00 ლარი;
11. ა.(ა).ი.პ. - „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“, პროექტი - „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა - 2015“ თანხა - 10600-00 ლარი;
12. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ხელოვნების საბჭო“, პროექტი - „კულტურული პროექტების მენეჯმენტი“, თანხა - 20862-00 ლარი;
13. ა.(ა).ი.პ. - „ლაპილი“, პროექტი - „გაიხსენე ძველი ხელობა“, თანხა - 12461 ლარი და 95 თეთრი;
14. ა.(ა).ი.პ. - „ჩემი საქართველო თიანეთიდან იწყება“, პროექტი - „Art-cafe“, თანხა - 14746 ლარი და 50 თეთრი;
15. ა.(ა).ი.პ. - „არტ-ისტი“, პროექტი - „ბავშვები, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა - იყავი არტ-ისტი“, თანხა - 21986-00 ლარი;
16. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს პროგრესის ცენტრი“, პროექტი - „ახალგაზრდები პროგრესული პოლიტიკისთვის“, თანხა - 15938-00 ლარი;
17. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „ბრწყინვალე გონება: დოკუმენტური ფილმების სერია ქართველ შებენიერი შესაძლებლობების მქონე წარმატებულ ახალგაზრდებზე“, თანხა - 21150-00 ლარი;
18. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნი“, პროექტი - „მოსიარულე ბიბლიოთეკა-წიგნი ყველა სოფელს“, თანხა - 18635 ლარი და 40 თეთრი;
19. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი უცნობი საქართველო“, პროექტი - „მთიულეთის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მემკვიდრეობა - (ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამა დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და დუშეთის ბავშვთა სახლისათვის)“ თანხა - 16019-00 ლარი;
20. ა.(ა).ი.პ. - „ბორჯღალი“, პროექტი - „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“, თანხა - 17134-00 ლარი;
21. ა.(ა).ი.პ. - „ინტერკულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფორუმი“, პროექტი - „იყავი აქტიური: ახალგაზრდობა, კულტურა და საზოგადოება“, თანხა - 23875-00;
22. ა.(ა).ი.პ. - „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“, პროექტი - „საზაფხულო სკოლა - განათლება განვითარებისათვის“, თანხა - 22130-00 ლარი;
23. ა.(ა).ი.პ. - „სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „რიპო“, თანხა - 19874 ლარი და 53 თეთრი;

24. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, პროექტი - „თბილისის ახალგაზრდებს შორის ინტერნეტდამოკიდებულების შესწავლა/გამოვლენა“, თანხა - 19631-00 ლარი;
25. ა.(ა).ი.პ. - „კახეთის სამოქალაქო ლიგა“, პროექტი - „სამკერვალო სახლი პანკისელ გოგონებს“, თანხა - 15865-00 ლარი;
26. ა.(ა).ი.პ. - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია დეა“, პროექტი - „გზა განათლებიდან დასაქმებამდე“, თანხა - 21045-00 ლარი;
27. ა.(ა).ი.პ. - „კავშირი განვითარებისთვის“, პროექტი - „უკანა ფშავის თანამედროვე ახალგაზრდა ფერმერები“, თანხა - 16789-00 ლარი ;
28. ა.(ა).ი.პ. - „გლობალური თანადგომა“, პროექტი - „სოციალური საწარმო-სწოველი“, თანხა - 22750-00 ლარი;
29. ა.(ა).ი.პ. - „ჯ & ჯ“, პროექტი - „არ დავკარგოთ სოფელი“, თანხა - 13510 ლარი და 54 თეთრი;
30. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“, პროექტი - „წეროვანი - ტრადიციული ხელოსნობის ცენტრი: ხეზე კვეთა დევნილი ახალგაზრდობის დასაქმებისთვის“, თანხა - 16513 ლარი და 36 თეთრი;
31. ა.(ა).ი.პ. - „oikos Tbilisi (ოიკოს თბილისი)“, პროექტი - „საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკური სკოლა: სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია“, თანხა - 23660-00 ლარი;
32. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების აკადემიური ცენტრი“, პროექტი - „რეფორმების ახალგაზრდული საბჭო“, თანხა - 21945-00 ლარი;
33. ა.(ა).ი.პ. - „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“, პროექტი - „Idea@club“, თანხა - 21820-00 ლარი;
34. ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია ანიკა“, პროექტი - „ჩვენ ერთად შევცვლით სამყაროს“, თანხა - 18610-00 ლარი;
35. ა.(ა).ი.პ. - „თბილისის მოხალისეთა გაერთიანება“, პროექტი - „ტრენინგები ახალგაზრდების დასაქმებისათვის“, თანხა 18245-00 ლარი;
36. ა.(ა).ი.პ. - „ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოებისათვის“, პროექტი - „ახალგაზრდული ინტერრელიგიური საბჭო - ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესებისა და რელიგიათა შორის თანამშრომლობისათვის“, თანხა 15805-00 ლარი;
37. ა.(ა).ი.პ. - „გრაფიკული სტუდია“, პროექტი - „ქართული ლიტერატურის ახალი სიცოცხლე“, თანხა - 21833 ლარი და 49 თეთრი;
38. ა.(ა).ი.პ. - „სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი მომავალი“, პროექტი - „ქალთა ინტეგრირებული ტურნირი თანადგომა - 2015“, თანხა - 21560-00 ლარი;
39. ა.(ა).ი.პ. - „სტეფანწმიდა“, პროექტი - „სპორტული თვე ყაზბეგის რაიონში“, თანხა - 4200-00 ლარი;
40. ა.(ა).ი.პ. - „Caucasus Cultural Innovation Centre“, პროექტი - „ჟურნალი „XII“, თანხა- 17012 ლარი და 50 თეთრი;
41. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის“, პროექტი - „ჩვენ შეგვიძლია-2“ გავიტანოთ ჩვენი შემოქმედება ჩვენი ქალაქის ფარგლებს გარეთ, თანხა - 18775-00 ლარი;
42. ა.(ა).ი.პ. - „კრეატიული განვითარების ცენტრი“, პროექტი - „კრეატიული კაფე - სამოქალაქო განათლების პლატფორმა“, თანხა - 16550-00 ლარი;
43. ა.(ა).ი.პ. - „საერთაშორისო ფონდი ფენიქს-ლზ“, პროექტი - „ლურჯი ფრინველი“, თანხა - 16620-00 ლარი.

ზემოაღნიშნული 43 (ორმოცდასამი) პროექტიდან დღევანდელი მდგომარეობით დაიხურა 43 (ორმოცდასამი) პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ. - „ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „მთამსვლელობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“ (დაფინანსდა 9025-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 18-00 ლარს).
პროექტში ჩართულ 15 ახალგაზრდას ყოველდღიურად უტარდებოდა კლდეზე ცოცვის ვარჯიშები, აღჭურვილობისა და ინვენტარის სათანადოდ გამოყენების სწავლება. მოხდა შეკრებების ორგანიზება და ალპინიადები სხვადასხვა მწვერვალებზე. პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა მიიღეს მთაში სიარულისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ დასაქმებას სამთო გამყოლებად. პროექტის დასრულების შემდეგ ბენეფიციართა რაოდენობა 20-მდე გაიზარდა.
2. ა.(ა).ი.პ. - „გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი“, პროექტი - „ახალგაზრდული ბანაკი „ფშავი“ (დაფინანსდა 16721 ლარი და 50 თეთრის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 235 ლარს და 38 თეთრს);
პროექტი ითვალისწინებდა ბანაკის მოწყობას ფშავში, რეგიონის გაცნობას ახალგაზრდებისათვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას და მასობრივი ალპინიზმის ფართო გავრცელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთიან რეგიონში - ფშავში სტაციონარული ბანაკი მოეწყო. მოხდა კლუბში არსებული ბანაკისთვის აუცილებელი აღჭურვილობის და ინვენტარის თავმოყრა. მონაწილეთა რეგისტრაციისთვის შეიქმნა სპეციალური ონლაინ ფორმა. აგვისტოდან დაიწყო პროექტით გათვალისწინებული მასობრივი ღონისძიებების განხორციელება. ორივე ნაკადის მონაწილეთა და ბანაკის პერსონალის გამგზავრება ფშავში და დაბრუნება თბილისში პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით შესრულდა. პირველი ნაკადის ფშავში გამგზავრების შემდგომ მოხდა ბანაკის გაშლა, ხოლო მეორე ნაკადი უკვე გაშლილ ბანაკში მოხვდა. ორივე ნაკადის შემთხვევაში განხორციელდა მონაწილეთა ათეულებად დაყოფა, განთავსება კარვებში და მათი ინსტრუქტაჟი. თითოეული ნაკადის დამამთავრებელ ეტაპზე მოხდა ტერიტორიის დასუფთავების ორგანიზება. პროექტში მონაწილეობა მიიღო 15-დან 27 წლამდე 100-მა ახალგაზრდამ.
3. ა.(ა).ი.პ. - „ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა“, პროექტი - „საფეხბურთო ფესტივალი-გურია 2015“ (დაფინანსდა 18 895-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 140-00 ლარს);
პროექტის მიზანს წარმოადგენდა ფეხბურთის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა და ახალგაზრდობის მასიური ჩართვა სპორტის აღნიშნულ სახეობაში. წინასწარი შერჩევის საფუძველზე, გურიის რეგიონის 3 მუნიციპალიტეტში საფეხბურთო კლუბებისა და მოყვარულ ფეხბურთელებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის შესახებ. ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ მოეწყო კულტურულ-გასართობი ღონისძიება.
პროექტმა ხელი შეუწყო რეგიონში ფეხბურთის პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: დაიბეჭდა სარეკლამო ფლაერები; გამზადდა და შეძენილ იქნა ფესტივალის დასაჯილდოვებელი მასალები; შეძენილ იქნა საჭირო

ადჭურვილობა; მოძიებულ იქნა საფეხბურთო გუნდები; ჩატარდა 31 მატჩი; გამოვლინდა და დაჯილდოვდა გამარჯვებული გუნდი; ჩატარდა დასკვნითი საზეიმო ღონისძიება; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ დასკვნით ღონისძიებებში. განხორციელდა პროექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობა. პროექტში ჩართული იყო 144 ახალგაზრდა ფეხბურთელი, საერთო ჯამში 12 გუნდი და 24 ხელმძღვანელი (აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებიდან).

4. ა.(ა).ი.პ. - „პირველი ევროპელი“, პროექტი - „ტრადიცია _ ეროვნული საგანძური სვანური ტრადიციული ჭიდაობა „ლიბრგელის“ აღდგენა-განვითარება“ (დაფინანსდა 14450-00 ლარის ოდენობით).

პროექტის ფარგლებში ქ. დმანისში ჩატარდა სამდღიანი ფესტივალი, დაარსდა სვანური ჭიდაობის ფესტივალი „მარკლანი“, რომელსაც მეორე წელს უმასპინძლებს ლენტეხი. პროექტის საწყის ეტაპზე სვანური ჭიდაობის აღდგენის ინიციატორი ბ-ნი გურგენ გურჩიანი და სპორტის ოსტატი ბ-ნი იოსებ გირგვლიანი სამუშაო ვიზიტით გაემგზავრნენ ქვეყნის 6 რაიონში, სადაც სასპორტო სკოლებს, ტრენერებს და მოსწავლეებს პრეზენტაციის სახით გააცნეს ახლად აღდგენილი სვანური ჭიდაობა „ლიბრგელი“ და პროექტის ჩატარების გეგმა. ჩატარდა პრესკონფერენცია, სადაც დამსწრე საზოგადოებას და მედიას ორგანიზატორებმა გააცნეს პროექტი. ღონისძიებაში ჩაერთო 7 რაიონის (დმანისი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, წალკა, ლენტეხი, მესტია) სასპორტო სკოლა. აღდგა სვანური ტრადიციული ჭიდაობა და ჩატარდა შეჯიბრი აღნიშნულ ჭიდაობაში შემდეგ წონით კატეგორიებში: 40 კგ, 45 კგ, 50 კგ, 60 კგ, 65 კგ, 70 კგ და 70 კგ-ზე ზევით და გამოვლინდა 21 გამარჯვებული. პროექტში მონაწილეობა მიიღო 7 სასპორტო სკოლის 80 აღსაზრდელმა.

5. ა.(ა).ი.პ. - „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“, პროექტი - „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა - 2015“ (დაფინანსდა 10 600-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 347 ლარს და 92 თეთრს);

ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა უცხოელი სტუდენტების ქართველოლოგიური დარგებით დაინტერესებას, თანამედროვე ქართული ენის შესწავლაში დახმარებას, ქართველოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა დარგზე ზოგადი წარმოდგენის შექმნას, ქართული კულტურის და თანამედროვე საქართველოს მეცნიერული, საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური მიღწევების გაცნობას, ჩვენი ქვეყნის სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მათ დაახლოებას და ქართველოლოგიაში მათ აღზრდას მომავალ კადრებად.

პროექტის ფარგლებში რვა ბენეფიციარისთვის დაიბეჭდა წლების მანძილზე აპრობირებული ქართული ენის სახელმძღვანელოს ახალი, გადამუშავებული რედაქცია. ენის გაკვეთილების პარალელურად მიმდინარეობდა სალექციო კურსი ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. დაწყებით დონეზე მყოფი სტუდენტებისთვის მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ „ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსის“ გაკვეთილებით.

6. ა.(ა).ი.პ. - „სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი მომავალი“, პროექტი - „ქალთა ინტეგრირებული ტურნირი თანადგომა - 2015“ (დაფინანსდა 21560-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 16-00 ლარს);

პროექტის ზოგად მიზანს წარმოადგენდა ქალთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თვითრეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის საჭირო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ხელშეწყობა. ხოლო კონკრეტულ მიზანს წარმოადგენდა სპორტის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა. ქალთა (მათ შორის შშმ პირთა) სტიმულირება და აქტივობის ამაღლება. მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ქალთა ტურნირი სპორტის ოთხ სახეობაში, კერძოდ: ბილიარდი, ტყვიის სროლა პნევმატური იარაღიდან, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი. მოხდა გუნდების სამონაწილეო განაცხადების მიღება-რეგისტრაციას, დამტკიცდა მართვის ჯგუფი და განესაზღვრა თ ფუნქციები. ჩატარდა აქტიური საინფორმაციო კამპანია ქალთა ინტეგრირებული ტურნირის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ. პროექტის განხორციელებამ რეალურად შეუწყო ხელი, როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების დარღვევას, ისე შშმ-ებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის გაუცხოების დაძლევის. სწორად შერჩეული მასტიმულირებელი ინსტრუმენტები რეალურად ახდენს გავლენას ქალთა (მათ შორის შშმ-თა) ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაჯანსაღების, აქტივობის ამაღლებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით; ჩვენ საზოგადოებას კი შესწევს უნარი შშმ-თა მიმართ „სიბრალული“ შეცვალოს „გაცნობიერებული მიმღებლობით“. პროექტში ჩართული იყო 84 ქალი, მათ შორის 31 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

7. ა.(ა).ი.პ. - „სტეფანწმიდა“, პროექტი - „სპორტული თვე ყაზბეგის რაიონში“ (დაფინანსდა 4200-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 18-00 ლარს);

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის პოპულარიზაცია. საწყის ეტაპზე სოფლებში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან და მწვრთნელებთან, მიეწოდათ ტურნირების შესახებ ინფორმაცია. გუნდები დაკომპლექტდა. ასევე მოხდა პროექტით გათვალისწინებული ყველა საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა. ტურნირების ჩასატარებლად მომზადდა შესაბამისი გარემო (სტადიონი, ტატამი, საცოცი კლდე). აგვისტოს თვეში განხორციელდა სამივე ტურნირი ჭიდაობაში, კლდეზე ცოცვასა და ფეხბურთში. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ყაზბეგის რაიონის ახალგაზრდობა და მოსახლეობა, გათვალისწინებული იყო 150-170 ბენეფიციარის ჩართულობა, თუმცა პროექტში ჩართულ ბენეფიციართა რიცხვი 300-350-მდე გაიზარდა.

8. ა.(ა).ი.პ. - „ჩემი საქართველო თიანეთიდან იწყება“, პროექტი - „Art-cafe“ (დაფინანსდა 14746 ლარი და 50 თეთრის ოდენობით). ორგანიზაციისა და პროექტის ხელმძღვანელის მიერ სრული თანხა იქნა დაბრუნებული, რადგან ვერ მოხერხდა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენდა ფართის მოძიება და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რის შემდეგაც იგეგმებოდა პროექტის განხორციელება.

9. ა.(ა).ი.პ. - „კავშირი განვითარებისთვის“, პროექტი - „უკანა ფშავის თანამედროვე ახალგაზრდა ფერმერები“ (დაფინანსდა 16789-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 228-00 ლარს);

პროექტის ფარგლებში, უკანა ფშავის თემში, კერძოდ სოფელ ვაკის სოფელში, შეიქმნა სამთო მექანიზაციური ცენტრი, რაც მთიანი რელიეფისთვის გამოსადეგი სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენას და ახალგაზრდებისთვის მისი მოხმარების წესის სწავლებას გულისხმობს.

შესყიდულ იქნა სპეციალური ტექნიკა (ორი მოტობლოკი, გუთან-უნივერსალური გადაბმა, მიწის შემომყრელი, ბოსტნეულის სათესი, კარტოფილის ამოსათხრელი, კარტოფილის სარგავი, ნიადაგმჭიდები, სათიბი აგრეგატი), აშენდება 20 კვ. მეტრი ფართის სათავსო აღნიშნული მოწყობილობების შესანახად. ახალგაზრდებმა შეისწავლეს ტექნიკით სარგებლობა, შემუშავდა ცენტრის შიდა განაწესი, რომელიც ცენტრის უპრობლემო ფუნქციონირებისთვის საჭირო წესებს და მოთხოვნებს შეიცავს. ხელისშემშლელი ფაქტორების (მეწყერით ჩახერგილი გზა უკანა ფშავში) მიუხედავად, პროექტი სრულიად განხორციელდა. პროექტის სამიზნე ჯგუფი უკანა ფშავის მოსახლეობაა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილი არიან ამ მაღალმთიან რეგიონში და სოფლის მეურნეობას ეწევიან. პროექტში ჩართულია 5-6 ახალგაზრდა, 20-მდე ოჯახი.

10. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, პროექტი - „თბილისის ახალგაზრდებს შორის ინტერნეტდამოკიდებულების შესწავლა/გამოვლენა“ (დაფინანსდა 19631-00 ლარის ოდენობით);

პროექტი ითვალისწინებდა ქ. თბილისის მოზარდებს/ახალგაზრდებს შორის ინტერნეტდამოკიდებულების შესწავლას და მისი ნეგატიური შედეგების გამოვლენას. ასევე, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ახალგაზრდების ინფორმაციულობის დონის ამაღლებას, მოზარდებისთვის და ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობას, ახალგაზრდების ინტერნეტდამოკიდებულებაზე სტატისტიკური მონაცემების მოპოვებას, პრობლემის გასაჯაროებას, ინფორმაციის გავრცელებას ფართო მასებში მასმედიით და სოციალური ქსელების საშუალებით, პრობლემასთან ბრძოლის ერთობლივი სამომავლო გეგმის შემუშავებას პროფესიონალებთან ერთად. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გამოიკითხა 2400 რესპონდენტი და მოპოვებული იქნა მათ მიერ ინტერნეტის მოხმარების და დამოკიდებულების სტატისტიკური მონაცემები. მოპოვებული მონაცემების დამუშავების შემდეგ გამოვლინდა ინტერნეტის მოხმარებისადმი დამოკიდებულება, მისი ნეგატიური შედეგები. სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს დაურიგდათ ბროშურები: „კომპიუტერომანია, ინტერნეტომანია“ და „რა არის აზარტომანია (აზარტომანია XXI საუკუნის დაავადება)“; კვლევის შედეგების დაბეჭდვა/გავრცელება, მისი პროფესიონალებთან პრეზენტაციაზე საჯარო განხილვა/განალიზება, სოციალურ ქსელებში ინფორმაციის მოთავსება ინტერნეტდამოკიდებულებაზე სრული წარმოდგენისა და მასთან ბრძოლის საშუალებას იძლევა. პროექტის ბენეფიციარები - 1600 სკოლის ასაკის მოსწავლე და უმაღლესი სასწავლებლის 800 სტუდენტი.

11. ა.(ა).ი.პ. - „პროგრესული საქართველო“, პროექტი - „ანტინარკოტიკული კამპანია“, (დაფინანსდა 21443-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1745 ლარს და 05 თეთრს)

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და მასობრივი სპორტის განვითარებას. ასევე, ანტინარკოტიკული განწყობის პროპაგანდა ახალგაზრდებში, ახალგაზრდობის ინფრომირება ნარკოტიკული საშუალებების მავნებლობის შესახებ, ახალგაზრდების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება. პროექტი მიმართული იყო ახალგაზრდების დასვენებასა და გართობაზე მიმართული პროგრამების მხარდაჭერისკენ,

რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ფიზიკური აქტივობა და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ტურნირი კალათბურთსა და ფეხბურთში თბილისის 10 რაიონს (გლდანი-ნაძალადევი, ისანი-სამგორი, დიდუბე-ჩუღურეთი, ვაკე-საბურთალო, ისანი-კრწანისი) შორის; ანტინარკოტიკულ თემატიკაზე ახალგაზრდების ინფორმირება და შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფა. ჩატარდა გასვლითი-შემეცნებითი ტური და დაჯილდოების ცერემონიალი. პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები (თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტი) – 100 ბენეფიციარი; დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები (147-ე საჯარო სკოლა; 169-ე საჯარო სკოლა; 61-ე საჯარო სკოლა) – 50 ბენეფიციარი. ბენეფიციართა ერთობლივი რაოდენობა აღემატებოდა 150 ახალგაზრდას.

12. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“, პროექტი - „საერთაშორისო კონკურსი „ალიანტი 2015“ (დაფინანსდა 22250-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 140 ლარს და 93 თეთრს)

საერთაშორისო კონკურს „ალიანტი-2015“-ის მიზანს წარმოადგენდა, ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოების საკითხების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ თავიანთ თანატოლებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან, განევითარებინათ გუნდური მუშაობის და ლიდერობის უნარჩვევები.

პროექტის ფარგლებში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ყველა რეგიონში კონკურსის შესახებ. კონკურსში დარეგისტრირდა 1000მდე ქართველი ახალგაზრდა შემდეგი რეგიონებიდან: გურია, სამეგრელო, ქვემო ქართლი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი. შემდეგ ეტაპზე მოხდა კონკურსის კითხვების შემუშავება, გასაუბრება მონაწილეებთან და საუკეთესო ფინალისტების გამოვლენა ეროვნული ფინალისტების, რომელიც გაიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით საწვრთნელ ბაზაზე პალდო. ეროვნულ ფინალში მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ, როგორც ფიზიკურ გამძლეობაში, ასევე ინტელექტუალურ ნაწილში, რის შედეგადაც გამოვლინდა 12 საუკეთესო მონაწილე (6გუნდი). გამარჯვებული კონკურსანტები გაემგზავრნენ ლიტვაში საერთაშორისო ფინალზე, სადაც წარმატებით იასპარეხეს და დაიკავეს პირველი და მესამე საპრიზო ადგილები. კონკურსის დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა გამარჯვებულების მოგზაურობა საქართველოში. საერთაშორისო ფინალში გამარჯვებული 6 საუკეთესო გუნდი (24 მონაწილე) კონკურსის ეროვნულ კოორდინატორებთან ერთად ეწვია საქართველოს, სადაც მოინახულეს სამხედრო ბაზები საქართველოს ღირსშესანიშნაობები, შეხვდნენ პოლიტიკურ ლიდერებს და ექსპერტებს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ნატოს თემატიკაზე მომუშავე ექსპერტებთან, ნატოს სამეკავშირეო ოფისში, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და საინფორმაციო ცენტრში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 15 დან 19 წლამდე ახალგაზრდები, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან. წელს საქართველოდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1000მდე ქართველმა ახალგაზრდამ. შერჩევის შედეგად საბოლოო პირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობამ შეადგინა 12 ახალგაზრდა.

13. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს მენეჯერთა ასოციაცია“, პროექტი - „ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნება, განათლება და ევროინტეგრაცია“ (დაფინანსდა 16122 ლარი

და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 166 ლარს და 96 თეთრს)

პროექტის მიზანი - ახალგაზრდა თაობის საქმიანი აქტივობების ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების პოპულარიზაცია. ახალგაზრდა ლიდერების, განათლებული საქმიანი ადამიანებისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების გამორჩევა, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობაში პოზიტიურ წვლილს შეიტანენ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის მიზანია ჯანსაღი ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის მქონე მომავალი თაობის აღზრდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ვებ-პორტალზე სტატიების განთავსება; შეხვედრა მეცნიერთან; დებატები სამოქალაქო აქტიურობის თემაზე; შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების თემაზე; შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების თემაზე; დებატების ტურნირი „საქართველოს ისტორიის ანალიტიკოსთა დარბაზი“; შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების თემაზე; შეხვედრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან; შეხვედრა სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილთან; კონფერენცია „თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებაში“. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები, მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე მოქალაქეები. პროექტის განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით ჯამურად მათი რაოდენობა აღემატება 400 ახალგაზრდას.

14. ა.(ა).ი.პ. - „NOOSFERA FOUNDATION“, პროექტი - „CineDoc-Tbilisi-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის სექცია CineDoc-Young“ (დაფინანსდა 22427-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 222 ლარს და 92 თეთრს)

პროექტის მიზანი - მოზარდებისთვის თავისუფალი კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, განუვითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, ესთეტიკური აღქმის უნარს. მოზარდებში მოახდენს კინოხელოვნების პოპულარიზაციას და გაუღვივებს ინტერესს შემოქმედებითი დოკუმენტური კინოსადმი. მოსწავლეები გახდებიან კინოფესტივალის უშუალო მონაწილეები, როგორც მაცურებლის, ასევე ჟიურის წევრების სტატუსით და თავად გამოავლენენ გამარჯვებულ ფილმს.

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი. გავრცელდა ონლაინ რეჟიმში. ჩამოყალიბდა საფესტივალო ჯგუფი. მოეწყო შეხვედრები ადგილობრივ პარტნიორებთან და ასევე მედიაპარტნიორებთან, რომლებმაც გააშუქეს ფესტივალის ყოველდღიური პროგრამა, თოქშოუები, დისკუსიები რეჟისორებსა და პუბლიკას შორის. საკონკურსოდ შემოსული ფილმები გადანაწილდა ასაკობრივი კატეგორიისა და თემატიკის მიხედვით. შერჩეული ფილმები ითარგმნა/გახმოვანდა/დაედო სუბტიტრები ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. დაიგემა სარეკლამო სამუშაოები, მომზადდა დიზაინი, დაიბეჭდა ფლაერები, ბროშურები და პოსტერები. საფესტივალო ჯგუფმა დაიწყო პრეზენტაციები საჯარო, კერძო, სახელოვნებო, უცხო ენოვან სკოლებს, დღის სახლებში, ასევე ფრეზეთის დევნილთა დასახლების სკოლაში. გამოცხადდა წამახალისებელი კონკურსი ეკოლოგიის თემაზე. ყოველი ჩვენების შემდეგ მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმი მოწვეულ უცხოელ სტუმრებთან. ბავშვთა ფსიქოლოგისა და მოდერატორის დახმარებით შერჩეულ იქნა შემეცნებითი და წამახალისებელი თამაშები. მიმდინარეობდა თოქ-შოუები კინოდარბაზებსა და კინოთეატრის ფოიეში. წარმატებით ჩაიარა დახურვის ცერემონიის ორგანიზებამ. სტუმრების გაცილება უზრუნველყო გესტსერვისის ჯგუფმა.

პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფებს სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები წარმოადგენდნენ; ახალგაზრდა მონაწილეთა რაოდენობა კი 500-ს აღემატებოდა. საფესტივალო ჯგუფი გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციებით ეწვია 13 საჯარო, კერძო, სახელოვნებო, უცხოენოვან სკოლებს და დღის სახლებს. მოსწავლე ბენეფიციარების

ასაკობრივი კატეგორია მერყეობდა 10-დან 15 წლამდე. გარდა პრეზენტაციებისა 50-მდე სასწავლო დაწესებულებას გაეგზავნა ფესტივალის შესახებ ინფორმაცია ელექტრონულად. ამ დაწესებულებებს მიეწოდათ საინფორმაციო ბუკლეტები, პროგრამა და საფესტივალო პოსტერები. ასევე თბილისის 6 უნივერსიტეტში ჩატარდა გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციები.

15. ა.(ა).ი.პ. - „არასამეწამეო იურიდიული პირი კავკასიონი“, პროექტი - „წიგნის ხე“, (დაფინანსდა 14550-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 21 ლარს და 14 თეთრს)

პროექტის მიზანი - ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის საკითხებში, ხელოვნების და კულტურის სფეროების მნიშვნელოვნად გააქტიურება გარემოს დაცვის მიმართულებით, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი ჩართვა ბუნების დაცვის პოპულარიზაციის საკითხებში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: პროექტის ორგანიზებისათვის საჭირო სტაფის დაკომპლექტება, ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და ხელშეკრულების გაფორმება, სამოქმედო გეგმის დამტკიცება, მემორანდუმის ფორმის შემუშავება, გარემოს დაცვითი მიმართულებით მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება და მემორანდუმების გაფორმება. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან“ – CENN; სხვა ლიტერატურული კონკურსების მონაწილეების ინფორმაციის აკუმულირება, სამომავლოდ პროექტის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდების მიზნით - „გალაკტიონობის“, „ზღვაურის“, „სიკეთის ხის“ და სხვა ლიტერატურული კონკურსის მონაწილეთა ბაზების გამოთხოვა-დამუშავება; თანამშრომლობა მასმედიასთან-თანამშრომლური ურთიერთობების დამყარდა აჭარის ტელევიზიასთან და რადიო აჭარასთან, ასევე აქტიური თანამშრომლური ურთიერთობები დამყარდა ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან; კონკურსის სამი ეტაპის ჩატარება; ლიტერატურული აღმანახის გამოცემა; ლიტერატურული ფორუმის ორგანიზება; პროექტის შუალედური შედეგების პრეზენტაცია; რეგიონებში ლიტერატურული საღამოებისა და დისკუსიების ორგანიზება.

პროექტის სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: კონკურსის ეტაპზე ჩართული 14-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან: სამივე კონკურსის ფარგლებში მათმა რაოდენობამ შეადგინა 500 კონკურსანტი; აღნიშნული კონკურსანტები წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს 25 მუნიციპალიტეტიდან. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლები: გასვლები ჩატარდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებთან.

16. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ხელოვნების საბჭო“, პროექტი - „კულტურული პროექტების მენეჯმენტი“ (დაფინანსდა 20862-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 2206 ლარს და 72 თეთრს)

პროექტის მიზანი - ტრენინგების ჩატარება თემებზე: კურატორული საქმიანობა; კულტურა და შესაძლებლობა; კომუნიკაციის ხელოვნება და მენეჯმენტის ფორმები; პროექტების განხორციელება და პრეზენტაციის კულტურა; ახალი იდეიდან - ახალ კონტექსტამდე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საიტის დამზადება, საბუთების მიღების გამოცხადება, ვიდეო პროდუქციის მომზადება (ვიდეო ლექციები, ვიდეო კლიპები); პრომო კლიპის მომზადება და გავრცელება, პროექტის სოციალურ ქსელში რეკლამირება, მონაწილეთა შერჩევა, საიტის გახსნა, კურსის დაწყება; საუკეთესო ჯგუფების გამოვლენა; ტრენინგების ჩასატარებელი სივრცის შერჩევა; სასტუმროს და საკონფერენციო დარბაზის შერჩევა, კვებითი მომსახურებისთვის მიმწოდებლის შერჩევა; ტრენინგების ჩატარება

ჯგუფების წევრებისთვის; ტრენინგების ჩატარება თემებზე: კურატორული საქმიანობა; კულტურა და შესაძლებლობა; კომუნიკაციის ხელოვნება და მენეჯმენტის ფორმები; პროექტების განხორციელება და პრეზენტაციის კულტურა; ახალი იდეიდან ახალ კონტექსტამდე; მონაწილეთა მიერ შედგენილი პროექტების შეფასება ტრენინგების მიერ; გამარჯვებული პროექტის გამოვლენა; მონაწილეთა კულტურულ ორგანიზაციებში წაყვანა (მუზეუმი, თეატრი); მონაწილეთა პროექტებზე მუშაობა და დახვეწა; მონაწილეთა მიერ შედგენილი პროექტების შეფასება ტრენინგების მიერ; გამარჯვებული პროექტის გამოვლენა; პროექტის განხორციელება; პროექტის ინფორმირება საზოგადოებისთვის ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით (რადიო თავისუფლება; საზოგადოებრივი მაუწყებელი; GDS). პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფები იყვნენ სხვადასხვა დარგის სპეციელისტები, მათ შორის: ხელოვნებათმცოდნეები, მარკეტოლოგები, ეკონომისტები, იურისტები, კულტურის მენეჯერები, სტუდენტები, პოტენციური გრანტის მიმღები ჯგუფები, კულტურული ორგანიზაციები და მათი მენეჯმენტის ჯგუფი, კერძო კომპანიები. ბენეფიციართა რაოდენობაა: მონაწილეები - 64 კაცი; ლექტორები - 10 კაცი; ჩაწერილი ორგანიზაციის წარმომადგენლები - 21 კაცი; ვიდეო პროდუქციის მომწოდებელი კომპანია - 3 კაცი; საიტის დამზადება - 1 კაცი; ტრენინგები - 8 კაცი.

17. ა.(ა).ი.პ. - „ლაპილი“, პროექტი - „გაიხსენე ძველი ხელობა“ (დაფინანსდა 12461 ლარი და 95 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 746-00 ლარს)

დაფინანსებული პროექტის მიზანი იყო პროექტში მონაწილე ახალგაზრდებისთვის სვანური ქუდის, ჩანგისა და ჭუნირის შექმნის ხელობის შესწავლა და ამ ხელობათა პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სვანური ქუდის, ჩანგისა და ჭუნირის ხელობების სწავლების პროცესი, რომელიც გაგრძელდა 10 დღეს. ეს პროცესი დეტალურად იქნა გადაღებული ვიდეო კამერის საშუალებით. აღნიშნული მასალა დამონტაჟდა და მიიღო დოკუმენტური ფილმის სახე. საბოლოოდ მოხდა პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაკეთობათა და დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია ლენტეხის მუზეუმში. გამოცდილი ოსტატების მათა ჩანქსელიანის (სვანური ქუდის ოსტატი) და ანდრეას მუკბანიანის (ჭუნირის და ჩანგის ოსტატი) წყალობით, ახალგაზრდებმა სრულფასოვნად შეისწავლეს აღნიშნული ნაკეთობების შექმნის უძველესი სვანური მეთოდი.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ (10 ვაჟი, 10-გოგონა), რომელთა ასაკი მერყეობდა 14 დან 25 წლამდე. ახალგაზრდები წარმოდგენილნი იყვნენ სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდან.

18. ა.(ა).ი.პ. - „არტ-ისტი“, პროექტი - „ბავშვები, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა - იყავი არტ-ისტი“ (დაფინანსდა 21986-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1 ლარს და 85 თეთრს)

პროექტის მიზნებს წარმოადგენდა ახალგაზრდული საგანმანათლებლო სტუდია „არტ-ისტის“ ინსტიტუციური ბაზის გაძლიერებისთვის, მისი გრძელვადიანი მდგრადი ფუნქციონირებისათვის ტექნიკური პირობების გამართვა; მზრუნველობამოკლებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიან ოჯახებში ნიჭიერი და დაინტერესებული ბავშვებისათვის სახელოვნებო საგნების: კერამიკა, მხატვრობა, ხელოვნების ისტორია/კულტურული მემკვიდრეობა სწავლება, როგორც სტუდიაში, ასევე საქართველოს რეგიონებში სასწავლო გასვლით ტურებში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: განხორციელდა კერამიკული ღუმელის შერჩევა და შექმნა; შეირჩა პროექტის ბენეფიციარები - თბილისის და მისი შემოგარენიდან მზრუნველობამოკლებული და მრავალშვილიანი ოჯახებიდან 20 ბავშვი. ასევე შეირჩა 10 ბავშვი ყაზბეგის რეგიონებიდან (6-

დან 16 წლის ჩათვლით), სადაც ჩატარდა პირველი გასვლითი ტური. ასევე ჩატარდა მეორე გასვლითი ტური კახეთში, თელავში, სადაც ასევე შეირჩა 10 დამატებითი ადგილობრივი ბენეფიციარი (5-დან 16 წლის ჩათვლით). „არტ-ისტის“ სტუდიაში ბავშვებს ჩაუტარდათ სტუდიური გაკვეთილები - ხელოვნების ისტორიაში, ხატვასა და კერამიკაში. სწავლება დაიწყო 29 ივნისს. ცალკეულ საგანში ჩატარდა 16 გაკვეთილი. ბავშვებმა შექმნეს მრავალფეროვანი ნამუშევრები საქართველოს ისტორიის და ასევე მსოფლიო ისტორიის საფუძვლებზე დაყრდნობით. შეიქმნა კერამიკული ნამუშევრები ქართული და მსოფლიო ისტორიული ნივთების მიხედვით. ასევე შეიქმნა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. გასვლით ტურებში მათ ასევე ჩაუტარდათ ხატვის გაკვეთილები პლენერზე. ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის გაკვეთილებიც ადგილობრივად მიმდინარეობდა. საბოლოოდ ჩატარდა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იქნა ბავშვების სრული სწავლების პერიოდში შექმნილი კერამიკული, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, სადაც საკმაოდ მრავალმა ქველმოქმედმა შეიძინა ნამუშევრები სიმბოლურ ფასად. გაყიდული თანხა სრულად გადაეცათ ავტორებს. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა 20-მა ბენეფიციარმა და ასევე 10-10-მა ბავშვმა გასვლითი საგანმანათლებლო ტურების რეგიონებიდან.

19. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს პროგრესის ცენტრი“, პროექტი - „ახალგაზრდები პროგრესული პოლიტიკისთვის“ (დაფინანსდა 15938-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 238 ლარს და 05 თეთრს)

პროექტის მიზანი - ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართულობას საჯარო პოლიტიკაში, საგანმანათლებლო და პრაქტიკული აქტივობების განხორციელების საშუალებით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები; კონკურსის საშუალებით შეირჩა 5 ახალგაზრდა, რომლებმაც დაწერეს პოლიტიკის დოკუმენტები; შეირჩა საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენერები, რომლებმაც ჩაუტარეს შერჩეულ ახალგაზრდებს 6 დღიანი ტრენინგი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში; დატრენინგებული 5 ახალგაზრდის მიერ მომზადდა კონკრეტული საკვლევი პროექტები (Research Proposal), რომელიც დამუშავდა და მიიღო საბოლოო სახე მენტორთან კონსულტაციის საფუძველზე; 5 ახალგაზრდის მიერ მოხდა 5 პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც დაეფუძნა როგორც წყაროების ანალიზს (Desk Research), ასევე საველე სამუშაოებს (Field Research). პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები ეხება შემდეგ საკითხებს: საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები, განათლების პოლიტიკისა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის არსებული კორელაციები და გამოწვევები საქართველოსთვის, გარემოს დაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში, ეფექტური ფისკალური პოლიტიკა და მეცნიერების და კვლევითი პოტენციალის განვითარების გზები. პოლიტიკის დოკუმენტები აიტვირთება პერიოდულად ვებ-გვერდ European.ge-ზე; პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჯარო პრეზენტაცია-დისკუსიები, სადაც მოხდა შერჩეული ახალგაზრდების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების პრეზენტაცია და შესაბამის თემებზე დისკუსიის გამართვა; მოხდა თანამედროვე ევროპელი მოაზროვნეების სტატიების თარგმნა, რედაქტირება და ატვირთვა საიტზე European.ge-ზე. პროექტის სამიზნე ჯგუფია 5 მკვლევარი და ასევე მათი ნაშრომები გახდა ცნობილი რამდენიმე ასამდე დამსწრისთვის, ხოლო პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონული ვერსია კი გახდა ხელმისაწვდომი ყველასთვის. ასევე European.ge -ს ეცნობა ყოველდღიურად საშუალოდ 300 ადამიანი.

20. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „ბრწყინვალე გონება: დოკუმენტური ფილმების სერია ქართველ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წარმატებულ ახალგაზრდებზე“ (დაფინანსდა 21150-00 ლარის ოდენობით).

პროექტის მიზანი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მიმართ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულების და სტიგმის შემცირების, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მოგვარების კუთხით ჩართულობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ჩატარდა დოკუმენტური ფილმების გადასაღებად მოსამზადებელი სამუშაოები; შეირჩა რესპოდენტები, გადასაღები ლოკაციები, მუსიკალური გაფორმება. დამზადდა 12 ფილმი, 12 ქართველ შშმ წარმატებულ ადამიანზე. ფილმები გავრცელდა არტარეას სამაუწყებლო არხის, არტარეას ინტერნეტ ტელევიზიის და სოციალური მედიის საშუალებით.

პროექტის ბენეფიციარები არიან პროექტში მონაწილე 12 შშმ წარმატებული ადამიანი.

21. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანი“, პროექტი - „მოსიარულე ბიბლიოთეკა-წიგნი ყველა სოფელს“ (დაფინანსდა 18635 ლარი და 40 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 366 ლარს და 13 თეთრს)

პროექტის მიზანს საქართველოში წიგნის პოპულარიზაცია წარმოადგენს. საზოგადოებაში წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაზრდა და ქვეყნის განვითარების საქმეში განათლების მნიშვნელობაზე აქცენტების გაკეთება. აღნიშნული პროექტი მოიცავს: ახალგაზრდების (სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების) აქტიურ ჩართვას ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში, ასევე სოლიდარობის გამოხატვას რეგიონალური ცენტრებიდან მომხრებით მდებარე სოფლის ბიბლიოთეკების, რაც მათი წიგნებით მომარაგებაში გამოიხატება. პროექტის ფარგლებში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც პროექტის ყველა მხარდამჭერი დაესწრო. პროექტს მხარდაჭერა გამოუცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და პროექტის დაწყება სწორედ სამინისტროს და საპატრიარქოს ერთობლივი ღონისძიებით შედგა. პროექტის ფარგლებში მოსიარულე ბიბლიოთეკა შემდეგ რეგიონებს ეწვია: რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, სამცხე-ჯავახეთი. პროექტის ფარგლებში გაიმართა ქალაქის აქცია, რომლის მიზანს წიგნების დამატებითი რაოდენობის შეგროვება წარმოადგენდა. პროექტის დასასრულს გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება, მხარდამჭერმა და პროექტის დონორმა ორგანიზაციებმა გავლილი პერიოდი შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. პროექტის ფარგლებში მოხდა 4 რეგიონის 32 ბიბლიოთეკის მომარაგება. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი: ამბროლაურის რაიონის 5 სოფელი და 5 ბიბლიოთეკა, ონის რაიონის 5 სოფელი და 5 ბიბლიოთეკა. ლეჩხუმი - ცაგერის და ლენტეხის ბიბლიოთეკები. ზემო სვანეთი - 10 სოფლის 12 ბიბლიოთეკა; ფშავ ხევსურეთი - ფშავი - 3 სოფლის 3 ბიბლიოთეკა, შატლის სასკოლო ბიბლიოთეკა; სამცხე-ჯავახეთი - 3 სოფლის 4 ბიბლიოთეკა.

22. ა.(ა).ი.პ. - „ბორჯღალი“, პროექტი - „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“ (დაფინანსდა 17134-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 87 ლარს და 23 თეთრს)

პროექტის მიზანი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებსა და კულტურული ტურიზმის განვითარების პროცესში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: კონკურსის „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“ გამოცხადება; კონკურსის საფუძველზე შემოსული

ლეგენდების შეფასება; კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება; საველე ტურების ორგანიზება და განხორციელება; მოძიებული ლეგენდების დამუშავება; ლეგენდების ვებ-გვერდზე განთავსება; „ლეგენდების მეგზურებისთვის“ ტრენინგ-კურსისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება; კულტურული ტურიზმის სპეციალური მარშრუტის: „ლეგენდების ბილიკი“ მომზადება და პირველი საჩვენებელი ტურის მოწყობა.

პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფი და ე.წ პირდაპირი ბენეფიციარი იყო აჭარისა და სვანეთის რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომელთაც გამოცხადებულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და რომლებიც სამომავლოდ „ლეგენდების მეგზურებად“ იქცევიან. სულ 100 ახალგაზრდა იყო პროექტის პირველი ეტაპის ბენეფიციარი, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ჩაერთო სხვა ახალგაზრდებიც, რომელთა საერთო რაოდენობაც ასევე 100-ს აღწევს. ამ ეტაპზე ვებ-გვერდზე შემომსვლელთა რაოდენობა 1514 ვიზიტორს ითვლის.

23. ა.(ა).ი.პ. - „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“, პროექტი - „საზაფხულო სკოლა - განათლება განვითარებისათვის“ (დაფინანსდა 22130-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 579 ლარს და 65 თეთრს)

მიზანი - ქართულ საზოგადოებაში კრიტიკული მასის წარმოქმნისა და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად, არაფორმალური, მულტიდისციპლინარული აკადემიური სივრცის ფორმირება ქართველი და უცხოელი სტუდენტების, უმაღლესი რანგის მეცნიერებისა და შემოქმედების მონაწილეობით: 1.საბუნებისმეტყველო, სოციალურ-პოლიტიკური, ჰუმანიტარული და შემოქმედებითი დარგების წარმომადგენელი, ქართველი და უმაღლესი რანგის საერთაშორისო დონის აკადემიური პირების მოწვევა. 2.მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნისა და საქართველოს რეგიონალური მასშტაბით, საერთაშორისო სტუდენტური ძალის მობილიზება, მოტივირება და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. 3.ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერებისა და განათლების დონის განვითარების ხელშეწყობა. 4.ქართველ აკადემიურ პირთა და სტუდენტთა ინტეგრაცია დასავლურ საგანმანათლებლო პროცესებში. 5.სამეცნიერო-შემოქმედებითი პროცესების გასააქტიურებლად, სტუდენტებსა და პროექტებში მონაწილე აკადემიურ პირებს შორის სამომავლო კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საზაფხულო სკოლისთვის მონაწილეების შერჩევის პროცესი - აპლიკაციის შედგენა, გავრცელება, მონაწილეების შერჩევა; ადამიანური რესურსის მობილიზება - საჭირო პერსონალის დაქირავება; საზაფხულო სკოლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა (საინფორმაციო ცნობარების ბეჭდვა/გავრცელება, რეკლამირება); პროგრამული უზრუნველყოფა - ვებგვერდის შექმნა, მედიასთან კომუნიკაციის დამყარება; საზაფხულო სკოლისთვის სასტუმროს და ტრანსპორტირების ორგანიზება; 7 დღიანი საზაფხულო სკოლისთვის მოწვეულ იქნენ ქართული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორები; შეირჩნენ მონაწილეები, რომლებიც ესწრებოდნენ სკოლას. პარალელურად მიმდინარეობდა ასტროფოტოგრაფ დავით დვალის ნამუშევრების გამოფენის, საჯარო ლექციების და რამდენიმე არტ-რონისძიების ორგანიზება. 1 დან 8 სექტემბრამდე ქალაქ თელავში მომდინარეობდა საზაფხულო სკოლა. ლექციები თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა.

პროექტის ბენეფიციარები არიან 36 სტუდენტი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; 4 სტუდენტი პარიზის უნივერსიტეტიდან და 5 სტუდენტი ბერლინის უნივერსიტეტიდან.

24. ა.(ა).ი.პ. - „სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „რიჰო“ (დაფინანსდა 19874 ლარი და 53 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 955 ლარს და 20 თეთრს)
- პროექტ „რიჰოს“ მიზანი იყო ზემო სვანეთის ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა კონკურსის მეშვეობით და მათი დატრენინგება უშგულის საზაფხულო სკოლის ფარგლებში; ასევე მათთან ერთად ტურისტული ბუკლეტების შემუშავება; „რიჰოს“ მიზანი იყო საინფორმაციო ბანერების დაყენება უშგულში და შემუშავებული ბუკლეტების პრეზენტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა თუ ტურიზმის სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- პროექტის პირველი ეტაპზე მოხდა ზემო სვანეთის ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა კონკურსის მეშვეობით, რათა მათ ემუშავათ ტურისტულ ბუკლეტებზე და გაეარათ ტრენინგები საზაფხულო სკოლის ფარგლებში, ასევე საინფორმაციო ბანერების დაყენება უშგულში; მეორე ეტაპზე განხორციელდა საინფორმაციო ბუკლეტების გაცნობა (პრეზენტაცია) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და შემდგომი გავრცელება რეგიონში.
- პროექტის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ზემო სვანეთის სკოლების უფროსკლასელებმა, ხოლო გამარჯვებული 18 ბენეფიციარი, რომლებიც მეორე ეტაპზე გამოვლინდნენ, 8 სკოლის წარმომადგენლები იყვნენ.
25. ა.(ა).ი.პ. - „კახეთის სამოქალაქო ლიგა“, პროექტი - „სამკერვალო სახლი პანკისელ გოგონებს“ (დაფინანსდა 15865-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 34 ლარს და 63 თეთრს)
- მიზანი - პანკისელი ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების მიღებაში და დასაქმება; სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; ქალების საზოგადოებრივი აქტივობის ხელშეწყობა. პროექტით გათვალისწინებული მიზნები იქნა მიღწეული, კერძოდ პანკისელმა ახალგაზრდა ქალებმა მიიღეს არაფორმალური განათლება, ოთხი მათგანი იქნა დასაქმებული. მათ მიერ გამომუშავებული თანხა აისახა მათ სოციალურ მდგომარეობაზე. ქალები გახდნენ უფრო მოტივირებულები და ჩართულები საზოგადოებრივ აქტივობებში. დასახული მიზნების განხორციელებაში ხელისშემშლელი ფაქტორები არ ყოფილა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: შესრულდა სარემონტო სამუშაოები; მოხდა ინვენტარის შესყიდვა; ჩატარდა სალექციო კურსები; მიღებული ცოდნის საფუძველზე ბენეფიციარებმა შექმნეს პროდუქცია; გაიხსნა სამკერვალო სახლი.
- პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო პანკისელი ახალგაზრდა ქალები, თუმცა უფრო დიდი ასაკის ქალებმაც გამოთქვეს სურვილი პროექტში ჩართვაზე და მთლიანობაში იყო 28 ბენეფიციარი.
26. ა.(ა).ი.პ. - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია დეა“, პროექტი - „გზა განათლებიდან დასაქმებამდე“ (დაფინანსდა 21045-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 872 ლარს და 25 თეთრს)
- პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სულ 10 თემში) მცხოვრები ახალგაზრდების შრომითი კონკურენტუნარიანობის გაზრდა და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. გარდა მოსამზადებელი ეტაპისა და საინფორმაციო-საბოლოო შეხვედრებისა, პროექტი მიზნად ისახავდა შემდეგი აქტივობების განხორციელებას: ახალგაზრდების დასაქმების მიმართულებით საქართველოსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა; ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ტრენინგების

ჩატარება; სემინარები- სამიზნე ჯგუფის ფსიქოლოგიური და პროფესიული მომზადება დასაქმებისთვის; სადისკუსიო შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან ახალგაზრდების სამუშაოზე მიმდებლობის გაზრდის მიმართულებით; სკოლებსა და საჯარო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება და გაფორმება; ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებია: საინფორმაციო შეხვედრა; ახალგაზრდების დასაქმების მიმართულებით საქართველოსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა; სემინარები „სამიზნე ჯგუფის ფსიქოლოგიური და პროფესიული მომზადება დასაქმებისთვის; სადისკუსიო შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან ახალგაზრდების სამუშაოზე მიმდებლობის გაზრდის მიმართულებით; სკოლებსა და საჯარო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება. მემორანდუმის გაფორმება. ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით; პროექტის საბოლოო პრეზენტაცია.

პროექტის მიხედვით სამიზნე ჯგუფები დაყოფილი იყო პირდაპირ და არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფებად. პირდაპირ სამიზნე ჯგუფებში მოიაზრებოდნენ ახალგაზრდები, ხოლო არაპირდაპირი სამიზნე ჯგუფები დაიყო ორ ქვეკატეგორიად: 1.საჯარო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ანუ დამსაქმებლები და 2.სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და მშობლები. რაოდენობრივად პირდაპირი სამიზნე ჯგუფების ოდენობა, რომლებმაც ტრენინგებსა თუ სემინარების სახით მიიღეს გარკვეული სარგებელი პროექტისგან 106 ახალგაზრდაა. არაპირდაპირი სამიზნე ჯგუფებიდან სხვადასხვაგვარი აქტივობების საფუძველზე სულ 410 პირი იყო პროექტის საქმიანობაში ჩართული. საერთო ჯამში ორივე სამიზნე ჯგუფის ოდენობა 516 ადამიანით განისაზღვრა.

27. ა.(ა).ი.პ. - „გლობალური თანადგომა“, პროექტი - „სოციალური საწარმო-სწოველი“ (დაფინანსდა 22750-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 364 ლარს და 68 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სოფელ სნოში საწარმოს დაფუძნება და განვითარება. მოხდა საწარმოს აღჭურვა მნიშვნელოვანი დანადგარებით, ასევე შეიქმნა საწარმოს ვებგვერდი. პროექტით გათვალისწინებული იყო ახალგაზრდებს სწავლება და ხელობის შესწავლა შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. სწავლა გაიარა 16-მა ახალგაზრდამ. ამ ეტაპზე საწარმოს სამუშაო პროცესში სტაბილურად ჩართულია 6 ახალგაზრდა. ძირითადად არიან 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცები. ლადო გოდერძიშვილი 16 წლის, გიორგი პაპიაშვილი 17 წლის, დათო და როსტომი ხართიშვილი 24 და 26 წლის, მანუჩარ და პალიკო ლუდუშაურები 21 და 23 წლის, გიორგი გოდერძიშვილი 23 წლის. პროექტი წარმატებით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც საწარმო განაგრძობს მუშაობას.

28. ა.(ა).ი.პ. - „ჯ & ჯ“, პროექტი - „არ დაკვარგოთ სოფელი“ (დაფინანსდა 13510 ლარი და 54 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 744 ლარს და 33 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სათბურის აგება, შიდა აღჭურვილობის მოწყობა, მარწყვის ნერგების დარგვა, ნერგების მოვლის ყოველდღიური სამუშაოების ჩატარება და აღნიშნულ სათბურში 4 ბენეფიციარის დასაქმება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სათბურის სამონტაჟო და ნიადაგის მოწყობის სამუშაოები. ჩაესხა საძირკველი, დამონტაჟდა კონსტრუქციის საყრდენი ბოძები, აეგო მეტალო-პლასტამასის კონსტრუქცია, გადაიხურა პოლიეთილენის ცელოფნით, სათბურის შიგნით დამონტაჟდა საყრდენი ბოძები, მასზე განთავსდა პლასტამასის ჟოლოფი და

ჩაიყარა მიწა. დაირგო 1500 ცალი მუდმივად მსხმოიარე მარწყვის ნერგი. დამონტაჟდა წყლის ტუმბო, რომლის მეშვეობითაც მიეწოდება წყალი დარგულ მარწყვის ნერგებს. მოხდა დასაქმებული პერსონალის დატრენინგება სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის საკონსულტაციო ჯგუფის წევრის მიერ. იქიდან გამომდინარე, რომ ნერგების შექმნა მოხდა შემოდგომაზე (ზაფხულის დიდი სიცხეების გამო არ შეიძლებოდა ნერგის გადარგვა) ვერ მოესწრო მარწყვის მოსავლის მიღება და რეალიზაცია. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა შიდა ქართლის, გორის რაიონ სოფელ შავშვებში დევნილთა დასახლებაში მცხოვრები 4 ბენეფიციარი.

29. ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“, პროექტი - „წეროვანი - ტრადიციული ხელოსნობის ცენტრი: ხეზე კვეთა დევნილი ახალგაზრდობის დასაქმებისთვის“ (დაფინანსდა 16513 ლარი და 36 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 424 ლარს და 45 თეთრს)

პროექტის მიზანი - დევნილ ახალგაზრდებში სახელობო უნარების, ბაზრის მოთხოვნების შესახებ ცოდნის განვითარება და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შექმნა. პროექტის ფარგლებში წეროვანში აშენდა ტრადიციული ხეზე კვეთის სახელოსნო, რომელიც აღიჭურვა სამუშაოსთვის აუცილებელი იარაღებით. ასევე ხის ოსტატს ზაზა გათენაშვილს და მის 50-მდე მოსწავლეს ჩაუტარდათ ტრენინგი პროდუქციის განვითარების საკითხებზე. პროექტის ბოლოს კი მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი ტრადიციული რეწვის ასოციაციის, ხის ოსტატ ზაზა გათენაშვილის და მისი მოსწავლეების ერთობლივად შექმნილი პროდუქციის ახალი ხაზი. პროექტის ბენეფიციარები არიან წეროვანში მცხოვრები 50 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა.

30. ა.(ა).ი.პ. - „oikos Tbilisi (ოიკოს თბილისი)“, პროექტი - „საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკური სკოლა: სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია“ (დაფინანსდა 23660-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 431 ლარს და 73 თეთრს)

რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ინიციატივების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სოციალური მეწარმეობის კულტურის დამკვიდრება, როგორც ინსტიტუციური მდგრადობისა და სამიზნე ჯგუფების პრობლემების ინოვაციური გზებით გადაჭრის შესაძლებლობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1. ვებ-გვერდსა და სოციალურ გვერდზე ღონისძიების პირობების განთავსება; 2. საზაფხულო სკოლის პროგრამის ფორმირება; 3. ბიზნეს იდეების კონკურსი სოციალურ მეწარმეობაში ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის; 4. ძირითადი მონაწილეების განცხადების მიღება სტატიების საფუძველზე; 5. საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა; 6. ვირტუალური ბიზნეს ინკუბატორის შექმნა; 7. მკვლევარების ვიზიტი მესტიაში და შეხვედრა ადგილობრივ ახალგაზრდებთან/მუნიციპალიტეტთან; 8. ფასილიტატორებისა და მომხსენებლების შერჩევა/დამტკიცება; 9. ძირითადი მონაწილეების შერჩევა სტატიების საფუძველზე/შუალედური ნარატიული და ფინანსური ანგარიშების ჩაბარება; 10. ონლაინ ტრენინგები; 11. ძირითადი შეხვედრა.

პროექტის ბენეფიციარები: პროექტში მონაწილეობას იღებდა 18 ქვეყნის 30 წარმომადგენელი.

31. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების აკადემიური ცენტრი“, პროექტი - „რეფორმების ახალგაზრდული საბჭო“ (დაფინანსდა 21945-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 75 ლარს და 30 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფო რეფორმებში, ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დონის ამაღლება მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების და რეფორმების შესახებ, საჯარო უწყებებსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა. ძირითად ნაწილში მიღწეულ იქნა პროექტის მიზნები. შედგა კომუნიკაცია საჯარო უწყებებთან, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გზები. ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია და გაეცნენ მიმდინარე რეფორმებს და სახელმწიფო პროგრამებს, აგრეთვე საჯარო უწყებების სტრუქტურასა და საქმიანობის წესს. ძირითადი ხელისშემსლელი ფაქტორი იყო ზაფხულის პერიოდი, აგვისტოს თვე, რის გამოც მოხდა აქტივობების 10 დღით გადავადება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, მომზადდა წერილები სამინისტროებისათვის, ურთიერთგაგების მემორანდუმი, საბჭოს დებულება, დაიგეგმა და ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „ამბასადორში“. პრეზენტაციაზე მოწვეულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს გაეცნოთ პროექტი, შემუშავებული იქნა სარეგისტრაციო ბლანკი და გამოცხადდა რეგისტრაცია. რეგისტრაციის შემდგომ მოხდა მონაწილეთა შერჩევა. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები. პროექტს 200-მდე ბენეფიციარი ჰყავს.

32. ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია ანიკა“, პროექტი - „ჩვენ ერთად შევცვლით სამყაროს“ (დაფინანსდა 18610-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 4 ლარს და 44 თეთრს)

პროექტის მიზანი - შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სამკერვალო საქმის შესწავლა მათი შემდგომი დასაქმების მიზნით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: შეძენილი იქნა საკერავი მანქანები და სხვა სამუშაო მასალები. მოეწყო სალონი, ყველა საჭირო ინვენტარით. შეირჩა პროექტის ბენეფიციარები. მათი მონაწილეობით ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“. შეირჩა კერვის პედაგოგი. ბენეფიციარები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს უტარდებოდა 2 საათიანი გაკვეთილი კვირაში სამჯერ. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ზოგიერთ ბენეფიციარს უკვე შეეძლო პედაგოგის დახმარებით გამოეჭრა და შეეკერა ესა თუ ის ნივთი. 18 ნოემბერს გაიმართა ექსპერიმენტული ჩვენება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ეტლით მოსარგებლე გოგონებმა, ასევე სამოდელი სააგენტოს გოგონებმა. ოქტომბრის თვეში სამკერვალომ უკვე განახორციელა პირველი შეკვეთა და შეკერა 40 ხელი თეთრეული თავშესაფრისთვის SOS. გაწეული მუშაობისთვის ორმა პროექტის ბენეფიციარმა მიიღო შრომის ანაზღაურება. პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფია შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე 16 ახალგაზრდა ქალი 23-დან 34 წლამდე.

33. ა.(ა).ი.პ. - „თბილისის მოხალისეთა გაერთიანება“, პროექტი - „ტრენინგები ახალგაზრდების დასაქმებისათვის“ (დაფინანსდა 18245-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 36 ლარს და 70 თეთრს)

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სოციალურად დაუცველი და დევნილი ახალგაზრდების, სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათი

კვალიფიკაციის ამაღლებას, სათანადო უნარებით აღჭურვას, რომელიც გამოადგებათ დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. აგრეთვე პროექტის მიზანს წარმოადგენდა მცირე ბიუჯეტის პროექტების კონკურსის გამოცხადება, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ტრენინგებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს. მცირე ბიუჯეტის პროექტის განხორციელებამ მათ მიერ უზრუნველყო ტრენინგებისაგან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზება, რაც თავის მხრივ წინაპირობაა სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის გამარტივება ბენეფიციართათვის. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების დასაქმების უნარიანობის გაუმჯობესება ისეთი ცოდნის და კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული არაფორმალური განათლებით, რომელიც განაპირობებს მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა უნივერსიტეტებიდან სოციალურად დაუცველი და დევნილი სტუდენტების შესახებ, უნივერსიტეტებთან მოლაპარაკება და შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებთან, მათთვის პროექტის გაცნობა და რეგისტრაციის გამოცხადება, ასევე რეგისტრაციის გამოცხადება სოციალურ ქსელში, დარეგისტრირებული სტუდენტებიდან მონაწილეების შერჩევა, ჯგუფებად განაწილება და ტრენინგების ორგანიზება, დატრენინგებული სტუდენტებისათვის გამოცხადდა კონკურსი მცირე ბიუჯეტის პროექტებზე, მოხდა შემოსული პროექტების განხილვა, გამოვლინდა გამარჯვებული პროექტები, მოხდა პროექტების განხორციელება, მონიტორინგი და ძირითადი პროექტის შეჯამება/შეფასება. პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ახალგაზრდები: სტუდენტები (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სოხუმის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თსუ, თსა), ასევე სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ და ვენილი სტატუსის პირებს. სულ 178 ბენეფიციარი. ასაკი განისაზღვრა 18-დან 25 წლამდე.

34. ა.(ა).ი.პ. - „ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოებისათვის“, პროექტი - „ახალგაზრდული ინტერრელიგიური საბჭო - ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესებისა და რელიგიათა შორის თანამშრომლობისათვის“ (დაფინანსდა 15805-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 119 ლარს და 51 თეთრს)

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში წარმოდგენილი ძირითადი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი აქტიური ახალგაზრდების ჩართულობის დონის გაზრდა სამოქალაქო-საზოგადოებრივ აქტივობებში. ამაღლებინა მათი ცნობიერების დონე რელიგიის თავისუფლების, სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების, ტოლერანტობის კულტურის და აქტიური მოქალაქეობის საკითხებში; ხელი შეეწყოს სხვადასხვა რელიგიური/ეთნიკური აღმსარებლობის ახალგაზრდების დაახლოებას, მათ შორის კომუნიკაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას და საბოლოოდ ახალგაზრდული ინტერრელიგიური საბჭოს ჩამოყალიბებას.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის 27 ახალგაზრდა, რომლებსაც ჩაუტარდათ 10 ლექცია/სემინარი და ამ ახალგაზრდებიდან ჩამოყალიბდა 12 კაციანი ახალგაზრდული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდა ახალგაზრდები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან, იუდეური თემიდან, სომხური სამოციქულო ეკლესიიდან, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოდან, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიიდან, ეზიდთა თემიდან.

35. ა.(ა).ი.პ. - „გრაფიკული სტუდია“, პროექტი - „ქართული ლიტერატურის ახალი სიცოცხლე“ (დაფინანსდა 21833 ლარი და 49 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 0 ლარს და 49 თეთრს)
 პროექტის მიზანი - 2D/3D ანიმაციის განვითარება და მისი მსოფლიო სტანდარტებთან დაახლოება. ახალგაზრდა ანიმატორებისთვის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიცემა. ახალგაზრდა ანიმატორების პოპულარიზაცია და მათი დასაქმების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში დამზადდა ანიმაციური ფილმი, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს პროექტის ბენეფიციარებმა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, ასევე ანიმაციის სფეროთი დაინტერესებულმა მოზარდებმა. კვალიფიკაცია აიმაღლა ოცმა ბენეფიციარმა.
36. ა.(ა).ი.პ. - „Caucasus Cultural Innovation Centre“, პროექტი - „ჟურნალი „XII“ (დაფინანსდა 17012 ლარი და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 31 ლარს და 46 თეთრს)
 პროექტის მიზანი - კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების შესახებ ინტერნეტჟურნალის შექმნა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა და არამართო ნიჭიერი ავტორები მოამზადებდნენ: ინტერვიუებს, ესეებს, მიმოხილვებს, რეცენზიებს, კომენტარებს, წერილებს, ისტორიებს, ფოტოსესიებსა და ვიდეოპროექტებს ქართველ თანამედროვე ხელოვანებსა და მათ შემოქმედებაზე. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მაღალხარისხიანი ინტერნეტჟურნალი კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების შესახებ. ჟურნალისთვის მომზადდა საინტერესო, მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი მასალა ქართველ თანამედროვე ხელოვანებსა და მათ შემოქმედებაზე.
 პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კულტურითა და თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანები. პროექტის ბენეფიციარების რაოდენობამ 50 000 ადამიანს მიაღწია.
37. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის“, პროექტი - „ჩვენ შეგვიძლია-2“ გავიტანოთ ჩვენი შემოქმედება ჩვენი ქალაქის ფარგლებს გარეთ (დაფინანსდა 18775-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 198 ლარს და 26 თეთრს)
 პროექტის მიზანი იყო შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, აქტიურად ჩართვა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი მთავარი პრობლემების მიუხედავად. პროექტის მსვლელობისას მონაწილე ბავშვებს შეექმნათ სავარჯიშოდ შესაბამისი პირობები, დაქირავებული იქნა ძელითა და სარკეებით აღჭურვილი დარბაზი, შეკვეთილი იქნა საცეკვაო კოსტიუმები. ჩამოყალიბდა ინტეგრირებული ანსამბლი, რომელშიც ერთიანდებიან სმენადაქვეითებული, გონებრივი პრობლემების მქონე და ჯანმრთელობის პრობლემების არმქონე ბავშვები. ზემო სვანეთში, კერძოდ დაბა მესტიაში და ასევე ყაზბეგში გაიმართა 2 სოლო კონცერტი, ფოლკლორულ ანსამბლ დებ გოგოჭურებთან და ვაჟთა ვოკალურ ანსამბლთან ერთად. კვირაში ოთხჯერ რეგულარულად ტარდებოდა რეპეტიციები ქართულ ნაციონალურ ცეკვაში. შეიკერა 20 ერთეული საცეკვაო კოსტიუმი. შშმ ბავშვებს ჩაუტარდათ ვორკუოფები სამხატვრო აკადემიის შენობაში ლექტორებთან ერთად.
 პროექტის ბენეფიციარები არიან 24 სმენადაქვეითებული და 3 გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი. ასაკი მერყეობდა 7 წლიდან 13-18 წლამდე.

38. ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი“, პროექტი - „SHOWDOWN-ი მაგიდის ტენისი უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის“ (დაფინანსდა 23277 ლარი და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 51 ლარს და 20 თეთრს)

პროექტის მიზანი - უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების ფიზიკური აქტიურობის გაზრდა, მათი რეაბილიტაცია და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში; SHOWDOWN-ის დანერგვა, განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში. თანაბარი პირობების შექმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებთან საინფორმაციო/გაცნობითი შეხვედრები; დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია SHOWDOWN-ის შესახებ; შეირჩა და დატრენინგდა SHOWDOWN-ის ინსტრუქტორები; მოხდა დაინტერესებული პირებისათვის უსინათლო ტენისისტიც გამოცდილების გაზიარება; შეირჩა სახელოსნოები, სადაც დამზადდება SHOWDOWN-ის მაგიდები; შექმნილი იქნა საჭირო ინვენტარი და ადგილზე მოეწყო სათამაშო სივრცე; შეირჩა და დატრენინგდა მოხალისეები, რომლებიც შეძლებენ მომავალში უსინათლო სპორტსმენებს გაუწიონ ასისტენტობა; ითარგმნა თამაშის წესები, რომელიც გამოიცა დასურათებული ბროშურის სახით. წესები ჩაიწერა აუდიო დისკებზე და დაიბეჭდა ბრაილის შრიფტით; მომზადდა რეკომენდაციები განათლების სამინისტროსათვის.

პროექტის ბენეფიციარები არიან დაახლოებით 1200 უსინათლო და მცირემხედველი ადამიანი.

39. ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი უცნობი საქართველო“, პროექტი - „მთიულეთის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მემკვიდრეობა - (ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამა დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და დუშეთის ბავშვთა სახლისათვის)“ (დაფინანსდა 16019-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 307-00 ლარს)

პროექტის მიზანი - პროექტში მონაწილე ახალგაზრდა ისტორიკოსების პროფესიული დახელოვნება და წახალისება, პრაქტიკული კვლევა-ძიების უნარის გამომუშავება, სალექციო კურსის საშუალებით ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდობასა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბება. ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდობაში მთიულეთის ეპიგრაფიკული, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების გაცნობა-პოპულარიზაცია. მთიულეთის რეგიონში საქსპედიციო სამუშაოების დროს გამოვლენილი მოძრავი და უძრავი ძეგლების ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა, მომზადება ინვენტარიზაციისათვის. ადგილობრივი ახალგაზრდების პარალელურად სხვა დაინტერესებულ პირებს, აგრეთვე ტურისტებსა და სამეცნიერო წრეებს შორის მთიულეთის რეგიონის ეპიგრაფიკული, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაცია, ლექციებისა და სამეცნიერო ნაშრომების სახით. პროექტის ფარგლებში მოხდა გაცნობა არსებული სამეცნიერო ლიტერატურის აღნიშნული რეგიონის შესახებ, ექსპედიციების დროს გამოვლენილი მასალა დამუშავებული იქნა აკადემიურად, განხორციელდა დაგეგმილი ექსპედიციები, მომზადდა სალექციო კურსი მთიულეთის მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის და მოხდა ექსპედიციის შედეგების გაცნობა. მომზადდა და გამოიცა კრებული, სადაც შევიდა მოპოვებული და დამუშავებული მასალა შესწავლილი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით. ჩატარდა გუდაურში პირველი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები“, რომლის მასალებიც შევიდა კრებულში. სამიზნე ჯგუფად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სხვადასხვა

უნივერსიტეტებიდან დოქტორანტები, მაგისტრანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები, ასევე შუა და ძველი თაობის მეცნიერები, მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა, მასწავლებლები, ტურისტები და ზოგადად დაინტერესებული საზოგადოება. პროექტის დასასრულს ბენეფიციართა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა.

40. ა.(ა).ი.პ. - „ინტერკულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფორუმი“, პროექტი - „იყავი აქტიური: ახალგაზრდობა, კულტურა და საზოგადოება“ (დაფინანსდა 23875-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 621 ლარს და 27 თეთრს)

პროექტის მიზანი - საქართველოში მცხოვრებ ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობის, შესაძლებლობების თუ სოციალური სტატუსის, შეეძლოთ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და სრულად ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში; კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის წამოწევა და ინტერკულტურული ტოლერანტობის და მის ფართო ასპარეზზე გატანის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა; ტოლერანტობის მნიშვნელობის გაცნობიერება ახალგაზრდებში; სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შიდა ტრენინგები პროექტის გუნდისთვის; ტრენინგის სცენარების მომზადება; კოდაში, მარნეულში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში სკოლის მოსწავლეთათვის ტრენინგები კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, ინტერკულტურულ დიალოგზე, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და ადგილობრივ სამოქალაქო ჩართულობაზე; სამიზნე ჯგუფების (სკოლის მოსწავლეების) მიერ კოდაში, მარნეულში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში ინიცირებული პროექტების პრეზენტაცია, დიზაინირება და ადგილობრივი საზოგადოებისათვის გაცნობა. პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფია სკოლის მოსწავლეები (კოდა, მარნეული, რუსთავი, ბათუმი და ქუთაისი), დაახლოებით 110 სკოლის მოსწავლე.

41. ა.(ა).ი.პ. - „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“, პროექტი - „Idea@club“, (დაფინანსდა 21820-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 80-00 ლარს)

პროექტის მიზანი - ახლად შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სტარტაპების, საინიციატივო ჯგუფებისა და თავისუფალი პროფესიონალების განვითარების ხელშეწყობა; ქართველი ახალგაზრდების სოციალური აქტიურობის სტიმულიზაცია და ამგვარი აქტივობით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის განვითარებაში წვლილის შეტანა. პროექტის თანახმად აქტივობების კლასიფიკაცია სამ ძირითად ჯგუფად მოხდა: შიდა: „იდეაქლაბის“ გუნდმა ორგანიზება გაუწია სხვადასხვა შიდა აქტივობებს წევრებისა და მოხალისეებისთვის, როგორცაა არაფორმალური შეხვედრები, ვორქშოფები, გამოცდილების გაზიარება, ფსიქოთერაპიის ჯგუფები და ა.შ. მსგავსი აქტივობები დაეხმარა გუნდს ერთმანეთის გაცნობაში, პოტენციალის აღმოჩენაში, ინტერესთა გამოკვეთაში და ადამიანთა დაჯგუფებაში მათი ექსპერტიზის და ინტერესის შესაბამისად. საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ შემდეგი სამუშაო ჯგუფები: 1.კინოკლუბი; 2.საჯარო ლექციების ჯგუფი; 3.საგანმანათლებლო ვორქშოფები; 4.Infodesk; 5.ხელოვნების ჯგუფი; 6.მუსიკის ჯგუფი; 7.თბილისის ალტერნატიული ტურები; 8.ბარი; 9.PR & მედია; 10.მენეჯმენტი/ლოჯისტიკა. საჯარო: „იდეაქლაბის“ გუნდმა წევრთა და მოხალისეთა დახმარებით ორგანიზება გაუწია მრავალ საჯარო აქტივობას გენერატორი 9.8-ს სივრცეში. ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებს, ვისაც სურს სივრცის გამოყენება უსასყიდლოთ ეთმობათ სივრცე. საერთაშორისო: Idea@club/გენერატორ 9.8-მ ორგანიზება გაუწია სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრთან“ ერთად. უმასპინძლა რამდენიმე საერთაშორისო ტრენინგს.

პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფებია: ახალგაზრდები 18-35 წ. ადგილობრივი და უცხოელი თავისუფალი პროფესიონალები; არასამთავრობო ორგანიზაციები; Start-up-ები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ბენეფიციართა რაოდენობა ასეთია: 100 ახალგაზრდა/ახალგაზრდული ორგანიზაცია/სტარტაფი, ვინც სივრცეს გამოიყენებს სამუშაო მიზნით; 200 ახალგაზრდა, ვინც მიიღებს მონაწილეობას Idea@club-ის მიერ დაგეგმილ აქტივობებში; 500 ახალგაზრდა, ვინც Idea@club-ის სივრცეს გამოიყენებს სადამოს საათებში ბარის დანიშნულებით. პროექტის დასასრულ ეტაპზე კი ეს მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 100 პროექტის განხორციელებაში ჩართული მოხალისე; 100 ახალგაზრდა/ახალგაზრდული ორგანიზაცია/სტარტაფი, ვინც სივრცე გამოიყენა სამუშაო მიზნით; 3000 ახალგაზრდა, ვინც მიიღო მონაწილეობა Idea@club-ის მიერ დაგეგმილ აქტივობებში; 2000 ახალგაზრდა, ვინც Idea@club-ის სივრცე გამოიყენა სადამოს საათებში ბარის დანიშნულებით.

42. ა.(ა).ი.პ. - „კრეატიული განვითარების ცენტრი“, პროექტი - „კრეატიული კაფე - სამოქალაქო განათლების პლატფორმა“ (დაფინანსდა 16550-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 2450 ლარს და 93 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის შექმნა, სადაც მათ მიეცემოდათ საშუალება გამოეცვლინათ თავიანთი შესაძლებლობები. მიეღოთ სხვადასხვა სახის ინფორმაცია მათი კარიერული განვითარებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საკვირაო ვორკშოპები, ყოველ კვირას იმართებოდა სხვადასხვა თემაზე 2-3 საათიანი შეხვედრები. ასევე, განხორციელდა ვიზიტები ახალგაზრდებთან სხვადასხვა რეგიონებში, იდეის პოპულარიზაციის და მათი მოზიდვის მიზნით. ნოემბრის თვე სრულიად დაგეგმილია ახალგაზრდების მიერ, რომლებიც უნდა შეეცადონ თავიანთი იდეის რეალიზებას კრეატიულ კაფეში. პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო ახალგაზრდები, სტუდენტები და შშმ პირები. კაფის გახსნიდან პროექტის საბოლოო ანგარიშამდე დაახლოებით სამიზნე ჯგუფის 40 000-მდე წარმომადგენელი მოხვდა პროექტის ფარგლებში. იყო ეს ყოველკვირეული ვორკშოპი, სოციალური მედიით ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.

43. ა.(ა).ი.პ. - „საერთაშორისო ფონდი ფენიქს-ლზ“, პროექტი - „ლურჯი ფრინველი“ (დაფინანსდა 16620-00 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 16 ლარს და 50 თეთრს)

პროექტის მიზანი - შშმ პირთათვის ავტომობილის დამოუკიდებლად მართვის ცენტრის ჩამოყალიბება სპეციალურად ქარხნული წესით ადაპტირებული ავტომობილებისა და ტექნიკის გამოყენებით თეორიული და პრაქტიკული კურსების გატარება და მომზადება შ.ს.ს.-ში სათანადო გამოცდებისთვის, მართვის მოწმობების მისაღებად. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სასწავლო ცენტრის ტექნიკური მომზადება-მოწყობა; ბენეფიციართა სრულყოფილი ინფორმირება მასმედიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით პროექტის ამუშავების დაწყების შესახებ; სასწავლო პროცესის დაწყება; შშმ პირთათვის დასაქმების ხელშემწყობი სამუშაოების განხორციელება; საზოგადოებისათვის მიღწეული შედეგების პერიოდული გაშუქება მასმედიისა და სხვა. პროექტის სამიზნე ჯგუფია

ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასაკით 18 წლის ზემოთ.
ბენეფიციართა რაოდენობაა 120 პირი.